საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2014 წლის 25 აპრილი № 82

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით, წინასაარჩევნო რეკლამის დროის განსაზღვრისა და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს შემდეგი სახით:
   ა) კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე განისაზღვროს საათში არაუმეტეს 60 წმ-ის ოდენობით თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის;

   ბ) არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე განისაზღვროს დღეში 15 წმ-ის ოდენობით თითოეული არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის 17:00 საათიდან 19:00 საათამდე საათობრივ ზოლში მცოცავი გრაფიკით;

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების დრო კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის ერთი დღის განმავლობაში განისაზღვროს შემდეგი სახით:
   ა) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველ სატელევიზიო არხზე - 22 წუთი;

   ბ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეორე სატელევიზიო არხზე - 17 წუთი;

   გ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველ რადიო არხზე - 18 წუთი;

დ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეორე რადიო არხზე - 24 წუთი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ერთი დღის განმავლობაში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს თანდართული სახით. აღნიშნული ტარიფებით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საეთერო დრო გამოყოფილი იქნეს მხოლოდ 2014 წლის 26 აპრილიდან 2014 წლის 1 ივნისამდე.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსების დარგში — კახაბერ სონიშვილი

დანართი N2

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2014 წლის 26 აპრილიდან 2014 წლის 1 ივნისამდე.
საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 22 წუთს, მეორე არხზე 17 წუთს, 1 რადიოზე 18 წუთს, ხოლო რადიო 2-ზე 24 წუთს.
ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	1600	1700
12:00-15:59	ორშაბათი - კვირა	2200	2300
16:00-17:59	ორშაბათი -კვირა	2600	2700
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	3700	3800
00:00-01:59	ორშაბათი - კვირა	3100	3200
02:00-05:00	ორშაბათი - კვირა	1200	1300

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	900 ,	900
12:00-15:59	ორშაბათი - კვირა	990	990
16:00-17:59	ორშაბათი -კვირა	1260	1260
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	1440	1440
00:00-01:59	ორშაბათი - კვირა	800	800

რადიო FM 102.4 FM 100.9			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:05-07:05	ორშაბათი - კვირა	45	45
08:10-19:07	ორშაბათი - კვირა	55	55
21:05-00:00	ორშაბათი -კვირა	45	45

„26“ აპრილი 2014წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ სონიშვილი